



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავშენირული

თავშენირული, საეკლესიო ყმები შუა საუკუნეების საქართველოში. თ. „თავისუფალ“ გლახთა კონტინგენტიდან ივსებოდა. თავშენირვა წერილობით ფორმდებოდა. ეკლესია-მონასტრებისადმი მათი ლტოლვა გამონწვეული იყო შეღავათიანი პირობებით (მაგ., წელიწადში სამი ლიტრა ზეთი, ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექა საკმელი და სხვ.). ეკლესიისადმი თავშენირვა ზოგჯერ იარაღით შეჯახებამდეც მიდიოდა, ძვ. მებატონე ცდილობდა უკან დაებრუნებია (უმეტესად აყრილგაქცეული) ეკლესიისათვის თავშეფარებული თავისი გლახი. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. თუ ერთ შემთხვევაში თავშენირვა ჩაივლიდა, სხვა შემთხვევაში ბატონები იმარჯვებდნენ და გლახებს უკანვე იბრუნებდნენ.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., გლახობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.), თბ., 1979.

დ. მეგრელაძე
